საერთაშორისო კორპორაციების ოპერირების ტენდენციები საქართველოში

DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-68

დავით ნიჟარაძე
აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
dnizharadze@ibsu.edu.ge

რეზიუმე

თანამედროვე, გლობალიზებულ ბიზნეს ლანდშაფტში საერთაშორისო კორპორაციები უდიდეს როლს თამაშობენ, ინტეგრირებულ ეკონომიკურ პროცესებში მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების ფლობით, დასაქმების მაღალი დონით და წარმოებული პროდუქციის მასშტაბებით. ასთი კომპანიების წარმატება გლობალურ კონკურენტულ გარემოში, დიდწილად არის დამოკიდებული მათი მულტიკულტურული მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების მოდელზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო კორპორაციები წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებული ფირმების ქსელს, რომლებიც წარმოიქმნება ბაზირების ქვეყანაში და ადგილობრივ ბაზარზე შესაძლებლობების ამოწურვის შემდეგ, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციას იწყებს შვილობილი კომპანიის, უცხოური საწარმოს ფილიალის ან უცხოური კომპანიის წარმომადგენლობის დაფუძნებით, მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, როგორც გლობალურ არენაზე, ასევე საქართველოში, საერთაშორისო კორპორაციების ოპერირების ტენდენციების შესწავლა მეტად აქტუალურია და მას პრაქტიკული სამეცნიერო მნიშვნელობაც გააჩნია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, საერთაშორისო და საქართველოს ბაზარზე მოქმედი საერთაშორისო კორპორაციების საქმიანობის კანონზომიერებების გამოვლენა და მათი მხრიდან, სხვადასხვა ტიპის მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკის შესწავლა. კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის, ინდუქციის, დედუქციის და სინთეზის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო კორპორაცია, გადაწყვეტილების მიღება, ბაზირების ქვეყანა, შვილობილი კომპანია, უცხოური საწარმოს ფილიალი, უცხოური საწარმოს წარმომადგენლობა, საერთაშორისო ოპერაციები.

ძირითადი ტექსტი

ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო კორპორაციების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს „მრავალეროვნული კორპორაცია“, „ტრანსნაციონალური კორპორაცია“ და „გლობალური კორპორაცია“, ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, ოპერირებენ და ფლობენ შვილობილ თუ ფილიალ საწარმოებს ერთზე მეტ ქვეყანაში. გაეროს ვაჭრობის და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) 2023 წლის მონაცემების თანახმად [10; 5], მსოფლიოში 80 000-ზე მეტი საერთაშორისო კორპორაცია საქმიანობს, 2022 წლის მდგომარეობით, მათი რიცხვი 78 000-ს შეადგენდა. 2023 წელს, მსოფლიოს უმსხვილეს კორპორაციათა წლიური შემოსავალმა კი 100 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა [7, 5].

მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების შესახებ Global Finance-ის კვლევას თუ გავაანალიზებთ, საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით, მსოფლიოს სართაშორისო კორპორაციების 2024 წელის

რეიტინგში Apple-ი 3,387 მლნ აშშ დოლარით ლიდერობს და იგი 343ს მლნ აშშ დოლარით უსწრებს მეორე ადგილის მფლობელ Microsoft-ს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ არსებული მონაცემები ყოველდღიურად იცვლება, თუმცა, ამერიკული წარმოშობის კორპორაციების გლობალური ლიდერობა უკვე გამოკვეთილ ტენდენციად გადაიქცა (იხ. ცხრილი 1) [9]. აშშ-ში ბაზირებული საერთაშორისო ბრენდების ნაწილი იმდენად მდიდარია, რომ მათი გაყიდვები ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის მშპ-საც კი აღემატება [6, 137].

ცხრილი 1. უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაციების რეიტინგი საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით, 2024 წ.

ადგილი რეიტინგში	საერთაშორისო კორპორაციის დასახელება	სექტორი	ბაზირების ქვეყანა	საბაზრო კაპიტალიზაციის დონე (მლნ აშშ დოლარი)
1	Apple	საინფორმაციო ტექნოლოგიები	აშშ	3387.02
2	Microsoft	საინფორმაციო ტექნოლოგიები	აშშ	3043.38
3	Nvidia	საინფორმაციო ტექნოლოგიები	აშშ	2649.24
4	Alphabet	საინფორმაციო ტექნოლოგიები	აშშ	1944.1
5	Amazon	მომხმარებელთა მომსახურება	აშშ	1849.85
6	Saudi Aramco	ენერგეტიკა	საუდის არაბეთი	1797
7	Meta Platforms	საინფორმაციო ტექნოლოგიები	აშშ	1294.66
8	Berkshire Hathaway	ფინანსები	აშშ	1028
9	Eli Lilly	ჯანდაცვა	აშშ	909.11
10	Taiwan Semiconductor	საინფორმაციო ტექნოლოგიები	ტაივანი	832.31

წყარო : Ventura,L, World's Largest Companies In 2024, September 18, 2024, https://gfmag.com

რაც შეეხება მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების რეიტინგს, შემოსავლების, მომგებიანობის, კაპიტალისა და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ამ ნუსხაში, პირველ ადგილზეა ამერიკული Walmar-ი, რომელსაც მოსდევს Amazon-ი და შემდეგ ჩინური State Grid-ი (იხ. ცხრილი 2).

ცნობილია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის უდიდესი წილი, ანუ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 2/3, მოდის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში რეგისტრირებულ საერთაშორისო კორპორაციებზე, რომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. შესაბამისად, უმსხვილესი კორპორაციების დრამატულად მზარდი რაოდენობის ფონზე, მათი განვითარების შესაძლებლობებს მიეკუთვნება: 1)მომხმარებლების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა ახალ ბაზრებზე; 2) განვითარებადი ქვეყნების წინსვლაში შეტანილი კონტრიბუცია; 3) პროდუქციის სტანდარტიზაცია გლობალური მასშტაბით; 4)ახალ ბაზარზე შესვლა; 5)იაფი შრომითი რესურსები [9].

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ოპერაციების გაფართოებასთან დაკავ-

ცხრილი 2. უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაციების რეიტინგი შემოსავლების, მომგებიანობის, კაპიტალის და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, 2024 წ.

ადგ.	საერთაშორისო კორპორაციის დასახელება	ბაზრების ქვეყანა	სექტორი	შემოსავლების ოდენობა (მლნ აშშ დოლარი)	მომგებიანობა (მლნ აშშ დოლარი)	კაპიტალი (მლნ აშშ დოლარი)	დასაქმებულთა საერთო რაოდენობა
1	Walmart	აშშ	მომხმარებელთა მომსახურება	648,125	15,511	252,399	2,100,000
2	Amazon	აშშ	მომხმარებელთა მომსახურება	574,785	30,425	527,854	1,525,000
3	State Grid	ჩინეთი	კომუნალური მომსახურება	545,948	9,204	781,126	1,361,423
4	Saudi Aramco	საუდის არაბეთი	ენერგეტიკა	494,890	120,699	660,819	73,311
5	Sinopec Group	ჩინეთი	ენერგეტიკა	429,700	9,393	382,688	513,434
6	China National Petroleum	ჩინეთი	ენერგეტიკა	421,714	21,295	630,562	1,026,301
7	Apple	აშშ	საინფორმაციო ტექნოლოგიები	383,285	96,995	352,583	161,000
8	UnitedHealth Group	აშშ	ჯანდაცვა	371,622	22,381	273,720	440,000
9	Berkshire Hathaway	აშშ	ფინანსები	364,482	96,223	1,069,978	396,500
10	CVS Health	აშშ	ჯანდაცვა	357,776	8,344	249,728	259,500

წყარო : Ventura,L, World's Largest Companies In 2024, September 18, 2024, https://gfmag.com

შირებული და ზოგადი მმართველობითი გადაწყვეტილებები მიიღება ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული გზით. ცხადია, პირველ შემთხვევაში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ხდება მხოლოდ ტოპ მენეჯერების მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, პროცესში საშუალო და დაბალი მმართველი რგოლის ჩართულობით. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გლობალური ფირმების სათავო ოფისში მიღებული გადაწყვეტილებები ეხმარება შვილობილ თუ ფილიალ კომპანიებს, რათა მათ სათანადო რეაგირება მოახდინონ, მასპინძელი ქვეყნის დინამიკური ბიზნეს გარემოს გამოწვევებზე. ბოლო წლებში, აშშ-ს კერძო სექტორში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სულ უფრო მეტი კომპანია იყენებს ცენტრალიზებული ტიპის გადაწყვეტილებებს, თუმცა ითვლება, რომ დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში, დასაქმებულები უფრო მეტად მოტივირებულად გრძნობენ თავს, რაც საბოლოოდ ფირმის ეფექტიანობაზე აისახება [2, 192]. უახლესი კვლევების თანახმად, აშშ-ს გარეთ, გლობალური კომპანიების უმრავლესობა ხასიათდება დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით. ამის ძირითად მიზეზად კი მიიჩნევა ადგილობრივ მენეჯერთა მაღალი კომპეტენტურობა [1, 171].

საერთაშორისო კორპორაციების გადაწყვეტილებები, როგორც წესი, კონცენტრირებულია გლობალური ინტეგრაციის მეშვეობით დასახული მიზნების რეალიზაციაზე. თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში ოპერირების დაწყებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გლობალური ფირმების მენეჯერები, რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის ეკონომიკურ მექანიზმებს, როგორც შემდეგი ოთხი კომპონენტის სტრუქტურულ ერთიანობას: 1) საგადასახადო პოლიტიკას და პირობებს; 2) საერთაშორისო აქტივების პოზიციონირების პერსპექტივებს; 3) ინვესტიციების რეპატრიაციასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს; 4) ფულადი ნაკადების მართვის შესაძლებლობას. ამ ყველაფერის მიზანია, მენეჯმენტს მიაწოდოს ზუსტი პროგნოზი იმ ცვლილებებისა და ტენდენციების შესახებ, რაც მიმდინარეობს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც კომპანია აწარმოებს ბიზნესს ან მომავალში გეგმავს საქმიანობის დაწყებას [3, 107]. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილად ითვლება, კომპანიის მრავა-

ლეროვნული ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად მიესადაგება საერთაშორისო ფირმის გლობალურ ხედვას, მისიას და მიზნებს. როგორც წესი, ამ დროს, საერთაშორისო კორპორაციები უარს ამბობენ ცენტრალიზებული გადაწყვეტილების პრაქტიკაზე და ცდილობენ ქვედა დონის მენეჯერთა ჩართვას სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესში [8, 79-81].

რაც შეეხება საქართველოს, სხვადასხვა საერთაშორისო კორპორაციის ნაწარმი აქტიურად შემოდის ჩვენი ქვეყნის ბაზარზე, მაგრამ პირდაპირი კონტაქტები, როგორიცაა ადგილზე შვილობილი კომპანიების, ფილიალების შექმნა ან ეროვნული ფირმების შესყიდვა შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა, საქართველოში მაინც არსებობს გლობალური კომპანიების წარმომადგენლობათა საკმარისი რაოდენობა იმისათვის, რომ გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ მათი საქმიანობის თავისებურების შესახებ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ უცხოური კომპანიების საკუთრებით შექმნილი საწარმოების რაოდენობა 2012 წლიდან 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ხასიათდება ზრდის ტენდენციით და ამავე პერიოდში 8,410 ერთეულს შეადგენს, აქედან 8 ორგანიზაცია (0.1%) უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებაა, ხოლო 383 (4.5%) ჩვენს ქვეყანაში უცხოური საწარმოს ფილიალს წარმოადგენს (იხ. დიაგრამები 1, 2, 3. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024, https://www.geostat.ge).



დიაგრამა 1 - კერძო უცხოური საკუთრებით შექმნილი კომპანიების რაოდენობა (2012-01.10.2024)



დიაგრამა 2 - უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებები და ფილიალები საქართველოში (2012-01.10.2024)

დიაგრამა 3 - უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებების და ფილიალების განაწილება (01.10.2024)



თუ განვიხილავთ საქართველოში მოქმედ უცხოური კომპანიების საქმიანობის მიმართულებებს, ამ კუთხით, ჭარბობს საცალო, საბითუმო და სადისტრიბუციო ორგანიზაციები, ასევე, ინფორმაციის და კომუნიკაციის სფეროში, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მიმართულებით მოღვაწე ფირმები [4].

გადაწყვეტილების მიღების მოდელის თვალსაზრისით, საქართველოში მოქმედ კომპანიათა 60%-ში აპრობირებულია გადაწყვეტილების მიღების შერეული მოდელი, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება, როგორც ცენტრალიზებული წესით კომპანიის სათავო ოფისიდან, ასევე, ადგილობრივად შვილობილი და ფილიალი კომპანიების მიერ, დეცენტრალიზებული გზით, ანუ სახეზეა გადაწყვეტილების მიღების ე.წ. „იაპონური-ამერიკული„ ჰიბრიდული ფორმა, ხოლო ფირმების დანარჩენი (40%) ცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიდგომას ანიჭებს უპირატესობას [2, 183].

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში, საერთაშორისო კორპორაციების რაოდენობა და მათ მიერ გლობალური ბაზარზე ოპერირების დამწყებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სპექტრი ხასიათდება ზრდის ტენდენციით. მათ ძირითად მიზანს წარმოადგენს გარე ფაქტორებთან ეფექტური ადაპტაციის ფონზე, მოიზიდონ კიდევ უფრო მეტი მომხმარებელი, გაზარდონ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა და მოიძიონ ძირითადი ნედლეულისა მომწოდებლები, უფრო ხელსაყრელი პირობებით, საბოლოოდ კი, მიაღწიონ გლობალური კონკურენტუნარიანობის მაღალ ნიშნულს. ამ მხრივ, გამონაკლისი ვერც ჩვენი ქვეყნა იქნება, რადგან ბევრი უცხოური კაპიტალით შექმნილი ფირმა უკვე ოპერირებს საქართველოს ბაზარზე, ადგილზე შვილობილი კომპანიების, ფილიალების შექმნით თუ ეროვნული ფირმების შეძენით, რაც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები მათი ოპერირების თავისებურებების შესახებ. კერძოდ, იკვეთება, რომ სქართველოში საერთაშორისო კორპორაციების წარმომადგენლობათა სულ უფრო მზარდი რაოდენობა, აქტიურად არის ჩართული ჩვენი ქვეყნის კერძო სექტორის რეალური მშპ-ის ზრდაში და უმუშევრობის დონის შემცირებაში, ხოლო უმეტესობაში მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკა ეფუძნება ე.წ. „იაპონური-ამერიკულ„ კორპორაციებში დამკვიდრებულ მიდგომას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიჟარაძე დ., მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები მრავალეროვნულ კომპანიებში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები, შრომების კრებული, თსუ, 3-4 ოქტომბერი, (2014)

2. ნიჟარაძე დ., მრავალეროვნული კომპანიების მართვის მექანიზმები და განვითარების ტენდენციები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, (2013)

3. ნიჟარაძე დ., საერთაშორისო სტრატეგიული დაგეგმვა მრავალეროვნულ კომპანიებში, ეკონომიკა და ბიზნესი, N4, (2012)

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2024), https://www.geostat.ge

5. Chokheli, E. The peculiarities of the employee behavior management inmultinational companies (The case of Georgia). In: Proceedings of IAC-EMM 2014:International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague. MAC Prague consulting Ltd, (2014)

6. Nizharadze D., The Impact of American Multinational Companies on the US Economic, American Studies International Research Conference Materials, 12th Edition, IBSU, (2019)

7. Roach B., Corporate Power in a Global Economy, Global Development Policy Center, Boston University, (2023)

8. S. V. Voitko, O. A. Gavrish, O. O. Korohodova, T. E. Moiseenko, Transnational Corporations. Educational textbook; Igor Sikorsky Kyiv Polytechnic Institute, (2020)

9. Ventura,L, World's Largest Companies In 2024, September 18, (2024), https://gfmag.com

10. https://unctad.org

REFERENCES:

1. Nizaradze, D., Managerial Decision-Making Characteristics In Multinational Companies, International Scientific-Practical Conference: "Modern Business: Tendencies and Challenges", TSU, 3-4 October, (2014)

2. Nizharadze D., Management systems of Multinational Companie and Their Development Trends, PhD Dissertation, Tbilisi, (2013)

3. Nizharadze d., International Strategic Planning in Multinational Companies, Economics and Business, N4, (2012)

4. National statistics Office of Georgia, (2024), https://www.geostat.ge

5. Chokheli, E. The peculiarities of the employee behavior management inmultinational companies (The case of Georgia). In: Proceedings of IAC-EMM 2014:International Academic Conference on Economics, Management and Marketing in Prague. MAC Prague consulting Ltd, (2014)

6. Nizharadze D., The Impact of American Multinational Companies on the US Economic, American Studies International Research Conference Materials, 12th Edition, IBSU, (2019)

7. Roach B., Corporate Power in a Global Economy, Global Development Policy Center, Boston University, (2023)

8. S. V. Voitko, O. A. Gavrish, O. O. Korohodova, T. E. Moiseenko, Transnational Corporations. Educational textbook; Igor Sikorsky Kyiv Polytechnic Institute, (2020)

9. Ventura,L, World's Largest Companies In 2024, September 18, (2024), https://gfmag.com

10. https://unctad.org

INTERNATIONAL CORPORATIONS OPERATING TRENDS IN GEORGIA

David Nizharadze
Affiliated Associate Professor, PhD
International Black Sea University
dnizharadze@ibsu.edu.ge

RESUME

In the modern, globalized business landscape, international corporations play a major role in integrated economic processes, possessing significant financial resources, a high level of employment and a large volume of output. The success of these corporations in an internationally competitive environment largely depends on the decision-making model adopted by their multicultural management. It should also be noted that international corporations are a network of interconnected companies that, after exhausting their capabilities in the host country and the local market, begin to internationalize their business through a subsidiary, a branch of a foreign enterprise or a representative office of a foreign company in different parts of the world.

Based on the above, the study of trends and prospects for the operation of international corporations, both in the global arena and in Georgia, is highly relevant and has practical scientific significance.

The aim of this paper is to identify the regularities of the activities of international corporations operating in the international and Georgian markets and to study the specifics of their decision-making on market expansion. The research process used qualitative and quantitative research, induction, deduction and synthesis methods.

Keywords: International Corporation, Decision-Making, Home Country, Subsidiary, Branch of a Foreign Enterprise, Representative Office of a Foreign Enterprise, International Operations.